PREMIUM
— RESIDENCE —

რწმუნებულება

წინამდებარე რწმუნებულებით, **შპს "პრემიუმ რეზიდენსის"** (რეგისტრირებული: 09.07.2010 წ, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404867006, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა #48, შემდგომში „მარწმუნებელი") დირექტორის - არჩილ მაჭარაძის (პ/ნ: 01025014333) მიერ, **შპს „Georgianhouse"-ის** (რეგისტრირებული: 27/02/2012 წ., საიდენტიფიკაციო ნომერი: 404931945, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, გუჯარეთის I ქუჩა, №34, შემდგომში „რწმუნებული") დირექტორს - **თორნიკე დვალს** (პ/ნ: 01024040140) ენიჭება უფლებამოსილება მასზედ, რომ წარმოადგინოს შპს „პრემიუმ რეზიდენსის" ინტერესები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერ სამსახურებთან, მათ შორის არქიტექტურის, ურბანული განვითარების, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურებთან, ურთიერთობაში.

„რწმუნებული" „მარწმუნებლისაგან" უფლებამოსილია წარადგინოს/ ატვირთოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო განცხადებას, განაცხადს და სხვა ოფიციალურ საბუთს, გადაიხადოს გადასახადები, მიიღოს ხელზე შეთანხმებული ნებართვები, ჩაიბაროს გადაწყვეტილებები ან სხვა სახის დოკუმენტები, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები ან/და ქმედებები, შეიტანოს ცვლილებები წარდგენილ დოკუმენტაციაში / განცხადებებში, „მარწმუნებლის" სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებულ დავალებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას და განახორციელოს ყველა სხვა მოქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე რწმუნებულებაში მოცემული დავალების შესასრულებლად.

არავის არ აქვს უფლება ეჭვი შეიტანოს რწმუნებული პირის უფლებამოსილებაში იმის გამო, რომ კონკრეტული ქმედების განხორციელების უფლებამოსილება არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში.

რწმუნებულების გაცემის თარიღი: 17.07.2018 წელი;
რწმუნებულების მოქმედების ვადა: 31.12.2018 წელი;

შპს „პრემიუმ რეზიდენსის"
დირექტორი არჩილ მაჭარაძე _____

შპს „პრემიუმ რეზიდენსი"; საქართველო, ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა #48;
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404867006